„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივლისი. 2018 * (5)42

ერთობლივი ექსპედიცია ასპინძაში

20 ივნისს, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომელთა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ერთობლივი ექსპედიცია, ახალციხის შემდეგ, ასპინძის მუნიციპალიტეტში გაგრძელდა..

ორი დღის განმავლობაში, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, სტუდენტებთან ერთად, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულეს. სამუშაო ტურის ფარგლებში მოხდა ისტორიული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება და მოსახლეობასთან შეხვედრები პრობლემური საკითხების უკეთ გაცნობის მიზნით. ასევე მათთვის მოეწყო მასობრივი სპორტულ-კულტურული ღონისძიებები. შემდეგ ექსპედიციის მონაწილეებმა ღამე ზედა ვარძიაში – კარვებში გაათენეს.

ასევე ექსპედიციის მიზანია, ახალგაზრდებთან ერთად რეგიონის ღირსშესანიშნაობების გაცნობა, ტურისტული პოტენციალის შეფასება, ინფრასტრუქტურული პროექტების დათვალიერება და რეგიონის განვითარების სამოქმედო გეგმისთვის წინადადებების შემუშავება.

სტუდენტებთან ერთად მოეწყო ასევე მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და ტურისტული ადგილების დათვალიერება, რაც ასპინძის მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქვე აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკში საინტერესო შეხვედრა მოეწყო ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან, საჯარო მოხელეებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან.

როგორც ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ განაცხადა – შეხვედრაზე განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ პრობლემურ საკითხებს, რომელნიც დღემდე აქტუალურია მოსახლეობისთვის და დაისახა გზები მათი გამოსწორებისათვის.

გარდა ამისა ასპინძის გუნდ „ტაოს“ რაგბისტებმა, ექსპედიციის მონაწილეებთან ერთად საჩვენებელი ვარჯიში გამართეს, რის შემდეგაც მოხდა ორდღიანი ტურის შეჯამება.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

6 ივნისს, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა. სდომაზე დეპუტატებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი იყო:

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მისი ოდენობის დადგენის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 13 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ა.ა.ი.პ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრისთვის”, დაბა ასპინძაში რუსთაველის ქ. № 4-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (კულტურის სახლის შენობა), უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ; ა.ა.ი.პ. ,,ასპინძის სასპორტო გაერთიანებისათვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

შ.პ.ს. ,,ასპინძის კეთილმოწყობისათვის” მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ასპინძაში მეფე ერეკლე II ქ. №4-ში მდებარე ქონებიდან; №1 ობიექტის პირველი სართულის 148.39 კვ.მ სასარგებლო ფართიდან 119.30 კვ, მ-ის, №2 ობიექტის (ავტოფარეხი) და №3 ობიექტის (საპირფარეშო) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორრმით გადასაცემად, ასპინძისმუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

შ.პ.ს. ,,ასპინძის კეთილმოწყობის” წესდებით და მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაობის შესასრულებლად FORD Transit-ის ტიპის თვითმცლელი ავტომანქანის შეძენისათვის, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დეპუტატებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს.

ახალი ურნებით შეიცვალა

ალბათ დაგვეთანხმებიან ჩვენი გაზეთის მკითხველები, ბოლო წლებში დიდი ყურადღება რომ ექცევა დაბასა და სოფლებში სისუფთავის დაცვას, რაც, პირველ რიგში, გამოწვეულია იმით, რომ სოფლად მიყვანილი იქნა მოასფალტებული გზები და კეთილმოეწყო დაბაში არსებული ქუჩები და, რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანზე აუცილებლობამ მოითხოვა მეტი ყურადღების გადატანა და სისუფთავის დაცვა. დღეს ვერ ნახავთ ვერც ერთ ადგილს, სადაც შეიძლებოდეს და არ იდგეს მოსახლეობისათვის საოჯახო ნარჩენებისა და ნაგვის ურნები, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს სისუფთავის დაცვასა და მოსახლეობის ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სანაგვე ურნების ამორტიზაციის შემთხვევაში დროულად ხდება მათი აღება და ახლით ჩანაცვლება. ახლახან კი საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ ასპინძის მუნიციპალიტეტს ნარჩენების ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი 100 ურნა გადასცა, რომლითაც ძველი, ამორტიზირებული ურნები შეიცვლება.

გამართული სარწყავი სისტემა უხვი მოსავლის გარანტიაა!

წლევანდელი უხვწვიმიანი მაის-ივნისის თვეების მიუხედავად, რწყვის სეზონი დადგა და დიდი საზრუნავი გაუჩნდა ასპინძის მელიორაციის ცენტრის თანამშრომლებს. ჩვენი გარემო-პირობებიდან გამომდინარე, სარჩო-საბადებლის მოწევა დიდადაა დამოკიდებული მელიორაციის ცენტრის გამართულ მუშაობაზე, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი, მაგრამ მათმა უსულგულო დამოკიდებულებამ შესაძლოა მოსახლეობის დიდი ნაწილი ულუკმაპუროდაც დატოვოს, რისთვისაც ზაფხულის რწყვის სეზონის დადგომისთანავე ისინი თავიანთ მინდობილ საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და მოსახლეობაც კმაყოფილია.

დაბა ასპინძის მაგალითი რომ მოვიყვანოთ, სარწყავ არხებზე დიდი ხანია გაშვებულია წყალი და მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს ამ სიკეთით, თუმცა ერთიცაა, მათი ორგანიზებით გაიწმინდა ისეთი სარწყავი არხებიც, სადაც აქამდე, წლებია, საერთოდ არ მიეწოდება სარწყავი წყალი და ეს ხარვეზიც გამოსწორებული იქნა.

როგორც ვიცით თვითდინებით გამოსაყენებელი არხების გარდა ასპინძის მელიორაციის ცენტრის მიერ ივნისის შუარიცხვებიდან აქტიურად დაიწყეს ასევე სატუმბი სადგურების მოწესრიგება და მოსახლეობაზე სარწყავი წყლის მიწოდება, კერძოდ, ვარნეთის სატუმბ სადგურზე დამთავრდა სადერევაციო არხის წმენდა. ასევე გაიწმინდა შემწოვი მილიდან წყალმიმღები ჭაც. ამით ისინი რწყვის სეზონს მომზადებულები შეხვდნენ და უკვე ფუნქციონირებს დაბის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი გრავიტაციული არხები.

ასპინძის მელიორაციის ცენტრი დღენიადაგ ზრუნავს რა მოსახლეობის სარწყავი წყლით შეუფერხებელი მომარაგებისათვის, იგი მზადაა – თითოეული ხელისშემშლელი ფაქტი დროულად გამოავლინოს და მოსახლეობას ჯეროვანი მომსახურება გაუწიოს.

P.S

ა(ა)იპ-ის ასპინძის მელიორაციის ცენტრის სარწყავ არხებსა და წყლის სატუმბ სადგურებზე 2018 წლის მომსახურების საფასური განსაზღვრულია:

ვარნეთის, ივერიის, რუსთავის წყლის ტუმბოს მომსახურების გადასახადი ერთი საათის განმავლობაში – 65 ლარი; ხოლო ხიზაბავრის, ნიჯგორის გრავიტაციული არხებისა და ასპინძის რუების საათობრივი გადასახადი – ორი ლარი.

ბევრი კეთილმოწყობილი ქუჩა ასპინძელებს

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ მუნიციპალიტეტის მერია დიდი ხანია დღენიადაგ იბრძვის და თანმიმდევრობით ახორციელებს მუნიციპალურ პროგრამას როგორც დაბის, ასევე სოფლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, და ეს არცაა გასაკვირი, რადგან, უპირველესად, ხალხის კეთილდღეობა, ამ პროგრამის ხორცშესხმაზეა დამოკიდებული. კარგი გზა, კარგი ქუჩა, სოფლად მისასვლელი გზების მოასფალტება, – ესაა მეტი კავშირი ცენტრთან, რეგიონებთან, ბიზნესის განვითარებასთან და ა.შ.

ამჯერად გვინდა კიდევ ერთ სასიამოვნო ფაქტზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება: სულ ახლახან დამთავრდა ჭავჭავაძის I და II ჩიხების, ტაბიძის, მარჯანიშვილისა და გოგებაშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები, – მოასფალტდა როგორც ქუჩები, ასევე, რიგ ადგილებში სანიაღვრე არხებიც კეთილმოეწყო. სულ მთლიანობაში სარეაბილიტაციო სამუშაოებმა მოიცვა 1,9 კილომეტრი მონაკვეთი, რაზეც დახარჯულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 434 995 ლარი.

აღნიშნული სამუშაოები შეასრულა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ – „შპს N1 საგზაო სამშენებლო სამმართველომ“.

ეს გზა მიგვიყვანს ევროპამდე?!..

წერილი პირველი

ამჟამად საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ოჯახი, რომელსაც ახლობელი ან მეგობარი მაინც არ ჰყავდეს გასული საზღვარგარეთ.

ამასწინათ, 75 წელს გადაცილებულ კაცს, წილად მხვდა ბედნიერება, საზღვარგარეთ მცხოვრები შვილების მიწვევით, თავად მეხილა არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი ევროპის მასშტაბით, ცხოვრების დონით, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოდ მოწყობილი, წესრიგის ეტალონად მიჩნეული მხარე – ბავარია და მისი დედაქალაქი მიუნხენი, რომელიც სიდიდით, ბერლინისა და ჰამბურგის შემდეგ, მესამე ქალაქია გერმანიაში. ერთი პატარა წერილი კი არა, ალბათ, მთელი გაზეთიც ვერ დაიტევს იქ, საკუთარი თვალით ნანახითა და განცდილით გამოწვეულ შთაბეჭდილებათა აღწერას და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან მის შედარებას.

ეს აყვავებული და ყოველმხრივ მოწესრიგებული ქალაქი მეორე მსოფლიო ომის დროს 71-ჯერ დაიბომბა და მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაიღუპა. ქალაქი და მისი ისტორიული ღირებულებების ძეგლები, პრაქტიკულად, მთლიანად განადგურდა, მაგრამ ყველაფერი – მონუმენტური ქანდაკებებიდან, გრანდიოზული მუზეუმებიდან და მონასტრებიდან დაწყებული, უმნიშვნელო ძეგლებიც კი, დროის მცირე მონაკვეთში ისეა აღდგენილ-შემონახულ-მოვლილი, გეგონებათ, საუკუნეების მანძილზე, ნიავიც კი არ შეხებიაო.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ პატარა დეტალზე, რომელმაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და რომლის მსგავსი რამ ცხოვრებაში არსად არაფერი მინახავს და არც გამიგონია.. მიუნხენი, ისევე როგორც საქართველოსთვის მესხეთი, მუზეუმია ღია ცის ქვეშ. ამ ქალაქში უამრავ ღირსშესანიშნაობებს შეხვდებით, მათ შორისაა – მთავართა და სამეფო დინასტიების ისტორიული მუზეუმი, სადაც ბევრი საინტერესო ექსპონანტია თავმოყრილი. ამ მუზეუმის სიახლოვეს, ლამაზად მოწყობილ სკვერში, მავზოლეუმის სტილში აგებულია არც თუ ისე მაღალსვეტებიანი შენობა, წარმოუდგენელია მუზეუმის ნებისმიერმა დამთვალიერებელმა გვერდი აუაროს ამ პატარა ნაგებობას, რომელსაც თავისებური დატვირთვა აქვს: შენობაში შესვლისთანავე გრანიტის კიბით ჩადიხარ დაბლა, იატაკის ზედაპირიდან ორიოდე

მეტრის სიღრმეში, სადაც ასევე შავ გრანიტში გამოკვეთილია კუბოში იარაღასხმული მიცვალებული ჯარისკაცი. დამთვალიერებლები, როგორც წესისა და რიგის მიხედვით ხდება, „მიცვალებულს“ ისე შემოუვლიან გარშემო და მეორე კიბის ავლით, ექსკურსია-მძღოლის ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გამოდიან გარეთ. ამ სიმბოლურ დატვირთვას მხოლოდ იქიდან გამოსვლის შემდეგ თუ შეიგრძნობ, თუმცა, მეტი ინტერესის გამო, მაინც ვკითხე ჩემ გვერდით მყოფ ერთ-ერთ ექსკურსანტს: – ბევრგან ვყოფილვარ, ჯარისკაცის არაერთი ძეგლი მინახავს ავტომატით ხელში, ნიშნად გამარჯვებისა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, კუბოში მწოლიარე ჯარისკაცი პირველად ვნახე!

უცნობმა გამახედა გვერდით და მითხრა: – მარჯვნა და მარცხენა კედლებზე გაკრულ დაფებს გულდასმით გადაავლე თვალი და ყველაფერს თავად გაიგებო!

მართლაც, გადავავლე დაფებს თვალი და ერთ დაფაზე ამოტვიფრული წარწერა გვაუწყებდა: „1914-1918 წ.წ. პირველი მსოფლიო ომი და მსხვერპლთა რაოდენობა“. მეორე დაფაც ასევე გვაუწყებდა: „1939-1945 წ.წ. – მეორე მსოფლიო ომი და დაღუპულ ჯარისკაცთა და მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობა“.

– ორივე მსოფლიო ომის წამომწყები, ჩვენ, გერმანელები ვართ და ეს „ჯარისკაციც,“ ჩვენი ისტორიის გაუთვალისწინებლობით – დამარცხების სიმბოლოს წარმოადგენსო, – ამიხსნა უცნობმა.

გერმანელებს სულაც არ რცხვენიათ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ისტორიული შეცდომების, დამარცხების აღიარებისა და, ალბათ, ამაშია მათი დღევანდელი წინსვლის, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და წამყვანი სახელმწიფოს, შენების ქვაკუთხედი, მათი წინსვლის გასაღები. ჩვენ კი, მართალია ევროპისკენ გვიჭირავს თვალი, ევროპელობისკენ ვისწრაფვით, მაგრამ მთავარი მაინც არ გვინდა რომ დავინახოთ – არ ვითვალისწინებთ წარსულის მწარე გაკვეთილებს, ხშირად სწორედ იქ ვმართავთ ტაშ-ფანდურებს, სადაც უნდა ვგლოვობდეთ, იქ ვაყალბებთ ისტორიას, გულს ვიმაგრებთ, სადაც ჩვენი დაცემა იწყება, ღმერთის იმედად ვართ და სწორი ანალიზის გაკეთება არ გვინდა!

რას ვიზამთ. ასეთები ვართ და ეს გზა მიგვიყვანს კი იმ ნანატრ ევროპამდე?!

გიორგი ბერიძე

კონცერტი ყველა ასაკის ბავშვებისათვის

ცოტა ხნის წინ ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღსაზრდელებს და მათ დიდი საზეიმო კონცერტი გაუმართეს. წარმოდგენილ ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში შემავალი როგორც ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფები, ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღსაზრდელები.

ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური.

დიდხანს დასამახსოვრებელი სპექტაკლი

რამდენიმე წელია ასპინძის კულტურის ცენტრთან არსებობს ბავშვთა თეატრალური სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალციხის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლია სულუაშვილი, რომლის სახელი კარგადაა ცნობილი როგორც სამხრეთ საქართველოში, ასევე მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. მან, დღიდან თეატრის დაარსებისა, არაერთი შესანიშნავი სპექტაკლი წარუდგინა ასპინძელ მაყურებელს და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ პერიოდში ბევრი თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა აღმოაჩინა და მათ თეატრისადმი გაუღვივა მისწრაფება და, იმედია, ისინი შესანიშნავი მსახიობები გახდებიან. ყოველივე ამაზე მეტყველებს წარმოდგენილ სპექტაკლებში მათ მიერ შესრულებული როლები – შესანიშნავი თეატრალური სახეები. ახლახან კი მაყურებელს წარუდგინეს ნოდარ დუმბაძის მოთხრობის – „ჰელადოსის“ – მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა.

ასპინძელმა პატარა მსახიობებმა აღნიშნულ სპექტაკლზე

თავიანთი შესაძლებლობები საუკეთესოდ წარმოაჩინეს, რასაც მაყურებელთა მხრიდან დიდი მოწონება და ოვაციები ხვდა წილად.

აღნიშნულ პრემიერას მოსახლეობასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

კულტურა

მომავალი დიდი წარმატებების იმედით

ასპინძის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების ძალებით არაერთ საინტერესო წარმოდგენას, კონცერტს თუ შეხვედრას დავსწრებივარ, მაგრამ, რაც დრო გადის, ისე დაიხვენა, განვითარდა, დაოსტატდა მთელი მათი შემოქმედებითი კოლექტივი, ასე მგონია, დიდი, ტრადიციული ქალაქების მაყურებელსაც შეშურდება ასპინძური წარმოდგენები. ცხადია, ეს ერთი დღის, ერთი თვის, მუშაობის შედეგი არაა, მას დრო, მონდომება და, რაც მთავარია, საქმისადმი დიდი სიყვარული ჭირდება, რაშიც კიდევ უფრო დავრწმუნდი ამასწინათ, ამავე სცენაზე, ხილული იმ დიდი საკონცერტო წარმოდგენისას, რომელისგანაც, რომ იტყვიან, განუსაზღვრელად ნასიამოვნები დარჩა ყველა, ვინც იმ დღის თვითმხილველი და თანამონაწილე გახდა.

ამთავითვე მადლობა მინდა გადავუხადო ანსამბლ „სამცხის“ სოლისტს ჯ.კოხრეიძეს, რომელმაც ამ სასიამოვნო საღამოზე მიმიწვია.

კულტურის ცენტრი, ამ ბოლო, მოკლე დროში, საკმაოდ დატვირთული პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე და თითოეული მათი გამოსვლა განსხვავებულიც იყო და ევოლუციურად განვითარებული, სრულყოფილი, – პროგრამით გათვალისწინებული თითოეული ნომერი თავისებურად მიმზიდველი და განსაკუთრებული შთაბეჭდილების მომხდენია მაყურებელზე, თითქოს პირველად ხედავ შემსრულებელთა სახეებს, მათი ცეკვის მანერებს და გხიბლავს არა მარტო იმიტომ,

რომ ისინი ასპინძის შვილები არიან, არამედ – მათში დიდ პროფესიონალებს ხედავ, ეს მცირენლოვან შემსრულებელსაც და ზრდასრულებსაც ერთნაირად ეხება, მათში ამის გარჩევა ძალზე ძნელია.

აი, თუნდაც, სცენაზე ანსამბლის სხვადასხვა თაობა დგას. უფროსები თავიანთი ტემბრით, ვაჟკაცური შეძახილებით, იპყრობენ მაყურებლის ყურადღებას, გოგონებისაგან იგრძნობა ქალური კდემამოსილება, სინაზე. განსაკუთრებით რომელია უფრო მშვენიერი სანახავი, ამის გარჩევა გიჭირს, რადგან თითოეული ნომრის წარმოდგენისას, დარბაზში ოვაციები არ ცხრება. დებიუტი შედგა ყველაზე პატარა შემსრულებლებისაც.

გამოცდილ შემსრულებლებს პატარა მოცეკვავეები ცვლიან და ეს ისე თანმიმდევრულად, მწყობრი სისტემით სრულდება, რომ აშკარად იგრძნობა მათი პროფესიონალიზმი. ცეკვას სიმღერა ცვლის, სიმღერას მხატვრული კითხვა და ასე გრძელდება პროგრამით გათვალისწინებული წარმოდგენა და, სამწუხაროდ, მაყურებლისთვისაც ისე სწრაფად გადის დრო, გეგონება, საკონცერტო წარმოდგენა ახლახან დაიწყო და კიდევ გიჩნდება სურვილი მეტი იხილო, დატკბე მათი მართლაც საოცარი საშემსრულებლო ხელოვნებით.

ამჯერად მე არ შემიძლია ერთმანეთისაგან გამოვყო თითოეული შემსრულებელი, რადგან ისინი, როგორც ვთქვი, ყველა ერთნაირად გამორჩეულები იყვნენ და ამას თავად მაყურებელიც კარგად ხედავდა. ერთს კი დავძენ, რომ არა ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებების დირექტორის და ანსამბლ „სამცხეს“ ხელმძღვანელის ჯაბა ასპანიძის დაუღალავი, მიზანსწრაფვული შრომა, ანსამბლის წარმატებაც წარმოუდგენელი იქნებოდა, რაზეც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას და მომავალი წარმატებები ვუსურვო.

ნელი გოგოლაძე,
ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

ტკივილიანი და სიყვარულით ამაღლებული შეხვედრა 60 წლის შემდეგ

ახლახან ასპინძის ცენტრალურ მოედანზე, იქ, სადაც „ავერსის“ აფთიაქია, მიკრო ავტობუსი გაჩერდა, რომელსაც წინ გამოკრული ჰქონდა ბანერი: „სოფელ ტოლოშის საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები“.

ჯერ კიდევ გასულ წლის ზაფხულში, ჩემს თანაკლასელებს, ყველა ასპინძელისათვის კარგად ნაცნობ ჭარმაგ ადამიანებს – **სპირიდონ ხიზაძეს, მზია წინწკალაძეს** და **დიმიტრი მაღრაძეს** გაუჩნდათ იდეა – მოეძებნათ ყველა ჩვენი თანაკლასელი, ერთმანეთს შევხვედროდით და აღგვენიშნა სკოლის დამთავრების მე-60 წელი. ჩვენს კლასში იმჟამად, 33 მოსწავლე ირიცხებოდა და, ცხადია, თითოეულ მათგანთან დაკავშირება, არც თუ ისე ადვილი იქნებოდა. მონდომებამ ნაყოფი გამოიღო და... აღმოჩნდა, რომ თანაკლასელთაგან, სამწუხაროდ, 17 გარდაცვლილი ყოფილა, რამდენიმე მათგანმა კი, ავადმყოფობის გამო, შეხვედრაზე დასწრება ვერ მოახერხა.

18 ივნისს, დილით, შეკრებილთაგან ბევრ ჩვენთაგანს, ხანდაზმულ მანდილოსნებს, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტში ასვლაც კი ძალიან გვიჭირდა, ხალისიანი განწყობა მაინც არ დაგვიკარგავს.

ავტობუსმა გეზი ტოლოშისაკენ აიღო... ცოტა ხანში პირველი გაჩერება ამავე სკოლის ეზოში მოეწყო, იმ სკოლისა, სადაც, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, დირექტორად მუშაობდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი **პეტრე წინწკალაძე.** უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანებში ტოლოშის საშუალო სკოლას რეგიონული სკოლის სტატუსი ჰქონდა, სადაც, ადგილობრივებთან ერთად, სწავლობდნენ მეზობელი რეგიონის – ჯავახეთის ქართული სოფლების – ოკამის, ვარევნის, გოკიოს, ჩუნჩხის, გოგაშენის არასრული საშუალო სკოლების მოსწავლეებიც, რადგან, მათ, იქ, საშუალო განათლების მიღების საშუალება არ ჰქონდათ, ტოლოშის საშუალო სკოლა კი სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთ გამორჩეულ სკოლად ითვლებოდა და მაღალკვალიფიციური

პედაგოგიური კადრებითაც იყო დაკომპლექტებული.

ძალზე ამაღელვებელი გამოდგა ის წამები, როდესაც თანაკლასელებს, 60 წლის შემდეგ, კიდევ მოგვეცა შესაძლებლობა ერთმანეთს ასე კოლექტიურად შევხვედროდით, მოვფერებოდით ერთმანეთს, ერთად მივსხდომოდით სასწავლო მერხებს და წუთიერად მოსწავლეებად გვეგრძნო საკუთარი თავი. ამოიკითხეს „მოსწავლეთა სიაც“... მერე და მერე, ჩვენი ბავშვობის დროინდელმა მოგონებებმა, სიხარულის, ტკივილის, მომგვრელი განცდებითაც განგვაწყო... გავიხსენეთ ჩვენგან წასული პედაგოგები, ყველა ის თანაკლასელი, რომლებთანაც თითქმის მთელი ბავშვობის წლები გავატარეთ.

მზია წინწკალაძემ, ჩვენთვის ყველასათვის საყვარელმა ადამიანმა, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა, ამ შეხვედრას ლექსიც მიუძღვნა და არ შემიძლია, რომ არ შემოგთავაზოთ, ძვირფასო მკითხველებო:

„რაც სკოლას დავემშვიდობეთ
უკვე სამოცი წელია,
წლების მატება, სიბერე,
ვაჰმე, რა დიდად ძნელია.

ოცდაცამეტნი ვიყავით, –
ჩვიდმეტი გამოგვკლებია,
თექვსმეტნი შევრჩით
ამ სოფელს,
თავს ბევრი გადაგვხდენია.

სიბერემ ხელი დაგვრია, –
გული მაინც არ ბერდება,
წარსულის გახსენებებით
ბევრი კარგი დღეც თენდება.

მოგონებებით ვსულდგმულობთ,
წარსულშიც გადვიხედებით,
ახალგაზრდობას ვიხსენებთ,
არ ვფიქრობთ, ჩვენც
რომ ვბერდებით.

თერთმეტი წელი ვისწავლეთ, –
ჩვენი ბავშვობაც დასრულდა,
ყველა თავის გზას დაადგა
და აისრულა, რაც სურდა.

ერთ ოჯახივით ვიყავით
და ერთმანეთი გვიყვარდა,
უდარდელებს და ჯანმრთელებს
კარგი აღმზრდელებიც გვყავდა.

დრო მიდის, მიდის, ეს წლები –
რომ გადის, როგორ არ გვინდა
და ერთმანეთთან შეხვედრა
ამ სიბერეში მოგვინდა.

მოხუცებს ძალა არ შეგვწევს, –
ახალგაზრდებმა იხარონ,
ჩვენი შრომა და ამაგი
კეთილად რომ მოიხმარონ“.

ამ ლექსის წაკითხვამ იმდენად იმოქმედა თითოეულ ჩვენთაგანზე, რომ განცდებს უცრემლოდ არ ჩაუვლია.

მეტად სასიამოვნო იყო იმის გახსენებაც, რომ ჩვენმა თანაკლასელებმა რაიონის განვითარების საქმეში თავისი სიტყვა თქვეს, ბევრი მათგანი წამყვან ხელმძღვანელ თანამდებობაზეც იყო და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა.

გაგვახარა ჩვენდამი მასპინძელთა დამოკიდებულებამაც, – ხანდაზმულ „მოსწავლეებს“ დიდი სითბოთი და სიყვარულით მოგვესალმნენ ამავე სკოლის დირექტორი მ.ივანიძე, დამსახურებული პედაგოგები ც.შველიძე და ნ.ბალიაშვილი.

შემდეგ საკლასო ოთახიდან გადავინაცვლეთ სოფლის სასაფლაოზე, სადაც ჩვენი საყვარელი პედაგოგ-აღმზრდელები და რამდენიმე თანაკლასელი განისვენებს, დავუნთეთ წმინდა სანთლები და მათი მოსაგონარი ვთქვით.

დაბოლოს. ჩვენი მარშრუტი ვარძიაში გაგრძელდა... საბანკეტო დარბაზში კი დიდხანს ისმოდა გარდასულ დღეთა მოგონებები, სადღეგრძელოები ...

თურმე, რაოდენ ტკბილიც, ტკივილიანიც და სევდიანიც ყოფილა „წარსულთან დაბრუნება“, თუნდაც რამდენიმე საათითაც კი, რამდენიმე ხნით იმ ადამიანებთან ყოფნა, რომელთანაც გაკავშირებს მთელი ბავშვობის წლები...

აქვე არ შემიძლია ჩემი თანაკლასელების სახელით დიდი მადლობა არ გადავუხადოთ ასპინძის მერიას და, პირადად, მერს ბატონ **როსტომ მაგრაქველიძეს**, რომელმაც დაგვიფინანსა ჩვენი უსაფრთხო და მშვიდობიანი „მოგზაურობა ბავშვობაში“.

ტოლოშის საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულთა სახელით,

თამარ მელიძიძე

რეპლიკა

თითქოს უმნიშვნელო ხამ ახის, მაგხამ მისახელია!

მართლაც ბევრი კარგი საქმე კეთდება ასპინძაში. წლიდან წლამდე იერსახეს იცვლის, ლამაზდება და კეთილეწყობა. გულს უხარია, რომ ერთ დროს ატალახებული, გაუვალი ქუჩების ნაცვლად, დღეს, აბსოლუტურად თითქმის ყველა ქუჩა, იქ, სადაც ვერც კი წარმოვიდგენდით მათ კეთილმოწყობას, ე.წ. უმნიშვნელო ჩიხიც კი მოასფალტებულია ან ბეტონის გზაა დაგებული, მოსახლეობასაც დიდი ინტერესი გაუჩნდა საკუთარი ეზო-კარმიდამო, ღობეები მოაწესრიგოს – ზოგან დეკორატიული ქვის კედლების მშენებლობებიც დაიწყეს და, როგორც იტყვიან, მართლაც სხვანაირი ხდება ასპინძა.

მუციპალიტეტის მერიას სამომავლოდ დაგეგმილი აქვს ბევრი და საინტერესო პროექტი, რომელთა ხორცშესხმა, ცხადია, კიდევ უფრო გააკეთილშობილებს ასპინძას, თუმცა, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო და, რიგი საკითხების გადაწყვეტა, მოწესრიგება, კიდევ უფრო შეუცვლის იერსახეს დაბას და უფრო მიმზიდველს გახდის სტუმრისათვის, უცხოს თვალში საჩოთიროც აღარაფერი გვექნება. ერთი შეხედვით, ჯერ კიდევაა თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მოსაწესრიგებელი. ამიტომ მსურს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს ყურადღება ერთ ფაქტზე შევაჩერო: როგორც ვიცით, საქართველოში ტურიზმის განვითარებამ დიდი ინტერესი გააჩინა ჩვენი რეგიონის მიმართაც, ასპინძაში მდებარე მრავალი ისტორიული ძეგლი, მისი ლანდშაფტი, უფრო მეტ ტურისტსა თუ ექსკურსანტს იზიდავს, ვიდრე აქამდე ყოფილა, შესაბამისად ხდება მისი რეკლამირებაც, იმატა უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობამ, განსაკუთრებით, ე.წ. „ფეხით მოსიარულე“ ტურისტებმა, თვალშისაცემი გახდა მათი ხილვა მარკეტებთან, ავტოსადგურთან და ა.შ. ამიტომ სულ პატარა, არასასიამოვნო ფაქტიც კი, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათზე, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ, რაც კარგის მეტს არაფერს მოუტანს ასპინძას, მათ ბენვი დირედ არ უნდა მიიჩნიონ და მესხური ბუნებით დამტკბარმა უცხოელმა, ცუდი შთაბეჭდილება არ გაიყოლიოს თან. ამჯერად მხედველობაში მაქვს ავტოსადგურთან, ე.წ. „სილამაზის სალონის“ მიმდებარედ, დაბინძურებული არხი, რომელიც ყურადღების მიქცევას საჭიროებს და N 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სიახლოვეს კერძო სექტორის საკუთრებაში არსებული ეზო, აქვე აღდგენას საჭიროებს დეკორატიული კედელიც. ეს ადგილები თვალშისაცემია და ანტისანიტარიის კერას ქმნიან.

ცხადია, მისი მოწესრიგება დიდ თანხებს არ მოითხოვს და ესეც ერთი სასიკეთო სიგნალი იქნება იმისა, რომ სხვა „წვრილმანი“ საკითხებიც მოწესრიგდება და ასპინძა იერსახესაც კიდევ უფრო შეიცვლის.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

დროა მივხედოთ, დრო არ იცდის!..

ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო, რომ არა ამასწინანდელი კიდევ ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა, ალბათ, ეს წერილი არ დაიწერებოდა, მაგრამ იძულებული ვართ კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ მას.

ამ ცოტა ხნის წინ განგაშის ზარები შემოვკარით იმის თაობაზე, რომ ასპინძის ცენტრში მოუწესრიგებელია საგზაო მოძრაობა, რომ საქმისადმი დაუდევრობამ შესაძლოა, ფატალურ შედეგამდეც მიგვიყვანოს!

ყველა ვხედავთ, რომ ბოლო პერიოდში, ძალზე ინტენსიური გახდა, ე.წ. დაბის ცენტრში, საერთაშორისო მნიშვნელობის საგზაო მაგისტრალზე, როგორც ქართული, ისე უცხოური დიდი სატვირთო ავტომანქანების, ე.წ. „ტრაილერების“ მოძრაობა, რაც ავტოსაგზაო შემთხვევების შემაშფოთებულ სიტუაციებს ქმნიან,

ამ საკითხზე ჩვენი წინა წერილის გამოქვეყნებიდან არც თუ ისე დიდი დრო გავიდა და ასპინძის სტადიონიდან, ე.წ. „კლდიაშვილის მოსახვევამდე“, რაღაც 150 მეტრში, კიდევ ორი ავტოსაგზაო შემთხვევის მოწმენი გავხდით – ერთი „ტრაილერი“ პირდაპირ ამ მოსახვევთან ამოტრიალდა, გადაანგრია დამცავი კედელი და ავტომანქანაც სერიოზულად დაზიანდა, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც იტყვიან, მსუბუქ ავტომანქანას ისე გადაუარა (ბედად, გაჩერებულს, რომელშიც არცერთი მგზავრი არ იმყოფებოდა), მისგან ნასახიც კი არ დარჩენილა.

რითია გამოწვეული ყოველივე ეს?!

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, გადაჭარბებული სიჩქარით, რომელთა კონტროლი, სამწუხაროდ, არ იგრძნობა, იგნოლირებულია. აქვე დავძენთ, რომ, მართალია შემზღუდავი გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები თვალსაჩინო ადგილზეა (დასახლებულ პუნქტებში რომ ისედაც შეზღუდულია სიჩქარით მოძრაობა, განა ეს ელემენტარულ ცოდნას მოითხოვს?), მაგრამ მძღოლები არად დაგიდებენ მას და ეს მონაკვეთიც, ხშირად, საჯირითო მოედნად იქცევა ხოლმე და გადასწრებაც ჩვეულებრივი მოვლენაა. კიდევ მინდა გავიმეორო – საავადმყოფოს შესასვლელიდან დაწყებული აღნიშნულ მოსახვევამდე, ძალზე სახიფათო მონაკვეთია და აუცილებელია და გადაუდებლად საჭიროა, გამკაცრდეს საგზაო მოძრაობის წესების დაცვა, რათა გვიანი არ იყოს შემდგომ „ტუჩზე კბენანი“.

აქვე არ შეიძლება არ შევეხო კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს – ცენტრალურ მაგისტრალზე (რუსთავი-ვარძია), სადაც დღის ნებისმიერ მონაკვეთში ინტენსიური მოძრაობაა, სავალი გზის მიმდებარედ, მოსახლეობის მიერ, საძოვარზე, ხშირადაა უპატრონოდ გაშვებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთელი ჯოგები, რაც აფერხებს მოძრაობას და ასევე ქმნის ავტოსაგზაო შემთხვევების საშიშროებას.

ვფიქრობთ, ეს არაა დღევანდელი პრობლემა, ასე ვამბობთ და ვიმეორებთ უკვე წლებია და ჯერ-ჯერობით, ამ საკითხზე, არავითარი რეაგირება არ მომხდარა, თუმცა ახლა უფრო უმნიშვნელოვანესია, რადგან მაქსიმალურადაა გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობა და სწორედ ეს ქმნის პრობლემას!

იმედია ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაინტერესდება აღნიშნული ფაქტებით და რეგიონის საპატრულო სამსახურთან ერთად შეიმუშავებენ შესაბამის ღონისძიებათა პაკეტს, რათა დარეგულირდეს იგი და არსებული პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს. ადგილობრივი თვითმმართველი ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო მოვალეა გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები და დაიცვას მოსახლეობის უსაფრთხოება!

აქვე დავძენთ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ვიდრე სისტემა დაინგრეოდა, მაშინ, როდესაც ძალზე უმნიშვნელო იყო ავტოტრანსპორტის მოძრაობა, მომზადდა შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია გზის აღნიშნული მონაკვეთისათვის, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო როგორც ტრანსპორტის, ასევე ფეხით მოსიარულეთა უსაფრთოება. ალბათ, ახლა უფრო საჭირო და აუცილებელია სპეციალისტთა ჩართულობა ამ საქმეში, რომ შემუშავდეს შესაბამისი პროექტი, რაც უზრუნველყოფს პრობლემის საბოლოო მოგვარებას!

ავთანდილ გერიძე

ჩაუშეპი

ძალზე რთული და სასტიკი დრო დაუდგა მესხეთს გასული საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს. ამ პერიოდს „გაქცევების“ წლებს ეძახდნენ. ხნიერი ადამიანები ხშირად იტყოდნენ: – ეს ადმიანი გაქცევების დროს დაიბადა, გაქცევების დროს ამდენი და ამდენი წლისა ვიყავიო.

ჩემ სოფელში – როკეთში, 30 ქართული ოჯახი ცხოვრობდა და 60 კომლი თურქული. როკეთი უძველესი სოფელი იყო (ამჟამად ნასოფლარია. თითო ოჯახში საშუალოდ 10-20 სული ცხოვრობდა), რასაც ადრეფეოდალური ხანის ძეგლების ნაშთებიც მეტყველებენ. თურქთა ხანგრძლივი შემოსევების დროს, სოფელი მთლიანად განადგურებულა, ორი საუკუნის წინ კი კვლავ აღმდგარა და მოშენებულა. პირველად დავლაშერიძეები და ხმალაძეები ჩასახლებულან, შემდეგ – თურქული მოსახლეობა.

1944 წელს, მაჰმადიანთა მასობრივი გასახლების შემდეგ, სოფელი კვლავ დაცარიელებულა, რადგან აქაური მოსახლეობა სოფელ ტოლოშში ჩაუსახლებიათ.

სოფელშია 1901 წელს აშენებული ეკლესია, რომელიც წმინდა გიორგის სახელობისაა. ეკლესია, დროთა განმავლობაში, მოუვლელობის შედეგად, განადგურების პირას მივიდა.

– „ეს ეკლესია ჩემი ხნისაააო“, – ხშირად იტყოდა მესხეთში კარგად ცნობილი უკანასკნელი აშუღი ექვთიმე დავლაშერიძე. მისგან ისიც გამიგია, რომ მისი ულამაზესი მამიდა – ელე ხანუმი, ბაღჩი-ბეგს ჰყავდა მოტაცებული და ცხოვრობდა მოიდოღლში. იგი მანამდე აშუღ ნიკო დავლაშერიძის მეუღლე ყოფილა, რომლისგანაც ჰყავდა ვაჟი – გიორგი, რომელსაც ახალციხეში პურის საცხობი ჰქონია გახსნილი და იქ ცხოვრობდა. ელე-ხანუმს ბაღჩი-ბეგისგანაც შესძენია ვაჟი შავხი-ბეგი. სწორედ შავხი-ბეგის იმედით როკეთიდან არ გაქცეულან ექვთიმე დავლაშერიძისა და ბიძის – მოსეს ოჯახები.

აი რას მომიყვა ერთხელ ექვთიმე დავლაშერიძე:

– „ზამთარმა გაიარა. მე ნაღვლიანად ვიჯექი ეკლესიის ახლოს და მარტის მზეს ვეფიცხებოდი. თავზე თურქული ფესი მეხურა. ამ დროს მოვიდნენ ჩაუშები. სულ ხუთნი იყვნენ. თითოეულს ხბოს ტყავისაგან შეკერილი გუდა ეკრა ზურგზე. თითოეულს გუდაში 25-25 კარგად გათლილ-გაპრიალებული ჯოხი ელაგა, ე.წ. „ზოპა“. ჩაუშების უფროსი მომესალმა და მკითხა, თუ რატომ ვიყავი ასე დანაღვლიანებული. მე ავუხსენი – ეფენდი, ჩვენს სალოცავში ერთმა თათარმა, სახელად ჰეიდარმა, ცხვარი შერეკაო. ამის გაგონებაზე, ჩაუშების უფროსი გაბრაზდა და ბრძანა – ახლავე აქ მომგვარეთ ის ურჯულოო. რა თქმა უნდა, მოძებნეს და მოიყვანეს ჰეიდარაი.

ჩაუშის თავი შეეკითხა ჰეიდარას, – რამდენი კომლი ხართო. – 60! – უპასუხა თავდახრილმა. გურჯები რამდენი კომლიაო? – 30. – ძლივს ამოილუღლუღა ნირწამხდარმა. 30 კომლმა შეძლო სალოცავის აშენება, თქვენ კი... სად აღავლენთ ღვთისმსახურებასო?! – გაბრაზებით უთხრა უფროსმა ჩაუშმა. – ხერთვისშიო! – უპასუხა ჰეიდარამ.

– ახლა მე თქვენ გეკითხებით: ვინ მოგცათ უფლება, უფლის სახელზე აგებულ სალოცავში ცხვარი რომ შეგერეკათ? მცირე დროს გაძლევ, შენს ოჯახთან ერთად დააკრიალოთ საყდარი და მომახსენეო.

დატრიალდნენ ჰეიდარას ოჯახის წევრები, მეზობლებიც დაიხმარეს და მცირე დროში სულ დააკრიალეს იქაურობა. მე ისე არასოდეს არაფერი არ გამხარებია, რაც იმ მომენტში განვიცადე. ჩემს გულში მადლობას ვუხდიდი ჩაუშებს ამის გამო. მაგრამ, თურმე, ჯერ სად იყო... უფროსმა ბრძანება გასცა – პირდაღმა დაენვინათ ჰეიდარა და ჩაეხადათ მისთვის შარვალი. ერთი ჩაუში მარჯვნივ მოკალათდა, მეორე – მარცხნივ ზოპმომარჯვებულები. ერთმა ხელები დაუკავა, მეორემ ფეხები და ბრძანა, ზოპა დაერტყათ. რამდენ ზოპასაც დაარტყამდნენ, გვერდზე მოისვრიდნენ და გუდიდან ახალ-ახალ ზოპებს იღებდნენ და იქამდე ურტყამდნენ, ვიდრე გუდები არ დაცარიელდა.

გული რომ იჯერეს, ახალი ბრძანება გასცა უფროსმა, – მისთვის მიეყვანათ ის კაცი, ვინც მოლობას იბრალებდა და ჩვენ ქადაგებას გვიკითხავდა. ბრძანება უმალ შეასრულეს და მოუყვანეს ე.წ. მოლა რუსტამი. ჩაუშების უფროსმა რიხი ხმით უთხრა: – შენ არ დაგინახავს, როდის შერეკა ჰეიდარამ ცხვარი ღვთის სახლშიო? შიშით აკანკალებულმა, უარის თქმა ვერ გაბედა და, თანხმობის ნიშნად, თავი დახარა.

– მერე რატომ არ დაუშალე?

– თავს ვერ გაუვედიო, – თავი იმართლა მოლამ.

– წააქციეთ! – ისევ გასცა ბრძანება ჩაუშმა და მასაც იგივენაირად მოექცნენ, როგორც გეიდარას. მოლამ ვერ გაუძლო გაროზგვას და სულიც განუტევა, ჰეიდარა კი ერთ კვირაში მიჰყვა მას.

მე მძულდნენ ისინი, მაგრამ მათმა სამართლიანმა მოქცევამ უფლის წინაშე, მე აღფრთოვანებაში მომიყვანა და დღემდე კეთილად ვიგონებ იმ ჩაუშებს.

– ახლა მაინც გაიღიმე, გურჯი ოღლან, – დიახ, ღმერთი ერთია, აქ რა შუაშია მუსლიმანური და ქრიატიანულიო, – თქვა იმათი გაროზგვის შემდეგ ჩაუშების უფროსმა, მერე მოახტნენ ცხენებს და გაქუსლეს მეზობელი სოფლისაკენ.

გმადლობთ, თქვენ გაიხარეთ, როგორც მე გამახარეთ! – ვიმეორებდი ჩემთვის, სანამ სახლში მივიდოდი“.

აი ასეთი რამ მიამბო **ექვთიმე დავლაშერიძემ**.

ვალოდია დავლაშერიძე

მეცხოველეობისა და რძის პროდუქციის წარმოება-რეპლიზაციის გაუმჯობესების მიზნით კვლევები მუნიციპალიტეტის სოფლებში

მიმდინარე წლის 15-16 ივნისს ჩვენი სამსახურის მიერ შერჩეულ ლოკაციებზე და მიზნობრივ ჯგუფებში, მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში – რუსთავში, აწყვიტასა და იდუმალაში RDFG-ის (ასოციაცია – სამხრეო განვითარება – მომავალი საქართველოსთვის) მიერ ჩატარებული იქნა შესაბამისი კვლევები მეცხოველეობისა და რძის წარმოების პროდუქციის წარმოების შემდგომი გაუმჯობესების

მიზნით, რომელიც დაკვეთილია IFAD (სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის) მიერ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კატასტროფის რისკების შემცირება სტიქიური უბედურების, ცხოველთა დაავადებების პრევენციის, დაზღვევის, გადანერგვა-გამოყენების, სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების და მათი ეფექტური გამოყენების მიზნით; სიახლეებისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, პირუტყვის საკვები რაციონის, საკვებწარმოების, ჯიშთა გაუმჯობესება, რძის პროდუქციის და სურსათის უვნებლობის პირობების დაცვა, ხელს შეუწყობს ახლო მომავალში მეცხოველეობის განვითარებასა და რძის პროდუქციის წარმოებას როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლობის მხრივ.

ტარიელ ხიხალაშვილი

რეპლიკა

სადამდე უნდა იდგეს ეს შენობა პარკში?!

დღემდე ვერ გამიგია, რისთვის, რატომ აშენდა კულტურისა და დასვენების პარკში, ყოფილი მუზეუმის ადგილზე, ეს შენობა, რა დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ, დღიდან მისი „ექსპლოატაციაში შესვლისა“, დანიშნულებით არცერთი დღე რომ არ უფუნქციონირებია, ფაქტია. ვიღაცამ თითქოს „აგო პასუხიც“, მაგრამ ამით რა?! „ნაშთი ძველი დიდებისა“ ისევ დგას „ჩვენი გულის გასახარად“, რომელიც, ქარსა თუ ავდარში, თოვლსა თუ წვიმაში, იშლება და იშლება. ამჟამად ისე გამოიყურება, თითქოს, გუშინ კი არა, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ იქნა აშენებული და „დროს გაუძლო“, ამ სახით მოაღწია ჩვენამდე – ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით!

იმაზე კარგი რა არის, როცა შენს დაბაში, შენს მუნიციპალიტეტში, რამე აშენდება, საქვეყნო საქმე გაკეთდება, ხალხიც დასაქმდება, შეჭირვებულ ოჯახებს შემოსავალი გაუჩნდება და საქმე წინ წავა.

წაქცეულს არ ურტყამენ, მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო, მაგრამ როცა რაიმე ფაქტი თავს გახსენებს, უთქმელობაც არ შეიძლება, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ სიმახინჯეს ყოველდღე ხედავ და, მით უმეტეს, გამვლელ-გამომვლელებიც ხშირად საუბრობენ მასზე, „დამნაშავე“ ისევ ადგილობრივი ხელისუფლება ხდება, საქმეს არ ხედავსო.

დიახ, ამ გადასახედიდან, უკანასკნელ წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას თუ თვალს გადავავლებთ, ურწმუნო თომა უნდა იყო, ვერ დაინახო, რამდენი კარგი და მოსახლეობისათვის სასიკეთო საქმე გაკეთდა. თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს, კარგიც დავინახოთ და ცუდსაც ცუდი დავარქვათ, თვალი არ უნდა დავხუჭოთ, რათა, რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ წარსულის შეცდომებიც, ვის მიერაც არ უნდა ყოფილიყო ჩადენილი.

ამ ტერიტორიაზე არსებული, როგორც ვთქვით, ეს უსახური „შენობა“, უნდა დაინგრეს, რადგან იგი ამ სივრცეს ძალიან ამახინჯებს და არაფრის მომტანია მისი ასეთი სახით არსებობა. უმჯობესი იქნება, ეს ადგილი ისევ გავაკორდოთ და ძველი იერსახე დავუბრუნოთ.

ალბათ, მუნიციპალიტეტის მერია მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას ამ საკითხის მოგვარებისათვის.

ავთანდილ მესხი

ელდარ ზაზაძე

***

დადგება ერთ დროს ჟამი აღქმული –
იმეფებს მეფე და არა დრონი,
სიმართლე ტანზე აისხამს ჰანგებს
არ ეშველება ძაღლის კუდს მგონი.
მშობელი მიწა პურის და ღვინის
წარმომშობელი მჭადის და ღომის
გამოგვირევენ მარიხუანას
არ ეშველება ძაღლის კუდს მგონი.
თუ „დედაენას“ მივუტანთ შვილებს
გაიხალისებს ჯიში და გორი,
ათას მილეთის სიტყვებს ჩაგვჩრიან
არ ეშველება ძაღლის კუდს მგონი.
ვივლით ქართული სულის ლაზათით
რუსთველის სიბრძნე არ არის შორი,
თუ ერთმანეთის გვერდით დავდგებით
იმეფებს მეფე და არა დრონი.

***

ტანზე მეყრება ფიფქებად
ნუშების ნაფერთალი
ოცნებას აედევნა
პეპლები ალისფერი
ჯერ არ მინახავს ცისქვეშ
მე შენისთანა ქალი.

***

ნახე, ბიჭო, გოგია,
წიწვს მოუბამს გირჩია,
რად სწევ მარიხუანას
ნეტავი ვინ გირჩია?!

მილოცვა

ზეინაბ ივანიძეს

ჩვენო ზეინაბ,

ყველასათვის საყვარელი გაზეთით გილოცავთ დაბადების 70 წლის იუბილეს.

მჯერა, რომ ეს არ არის მარტო ჩვენი მილოცვა, რამეთუ შენ ხარ მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი, ყველა ადამიანური ღირებულებებით შემკული ქართველი ქალი.

ჩვენო ზეინაბ, ამასწინათ კიდევ ერთხელ ვნახე შენი სამუშაო ოთახი, შენი მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა – წიგნებით, სიგელებით, მოსწავლეთა სიყვარულით აღსავსე მადლობის ბარათებით, ამიტომ მჯერა, რომ ამ სიმდიდრის პატრონი დიდხანს იცოცხლებ და იღვაწებ მომავალი თაობების აღზრდისათვის.

დიდი სიყვარულით,

ნაქალაქევის საჯარო სკოლის პედაგოგთა სახელით,

თინა მაისურაძე

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია